

საქართველოს მეფუტყრეთა გაერთიანება



GEORGIAN BEEKEEPERS UNION

ევროპული
სიღამვლა

ევროპული სიდამპლე EFB ფუტკრის ბარტყის ბაქტერიული დაავადებაა, რომელიც გვხვდება მთელ მსოფლიოში. ბოლო წლების მონაცემებით დაავადების გავრცელება იზრდება. მისი გამომწვევი ბაქტერია *Melissococcus plutonius*.

ეს დაავადება ამერიკული სიდამპლის გამომწვევი ბაქტერიისაგან *Paenibacillus larvae* განსხვავებით სპორებით არ ვრცელდება, რაც შედარებით აიოლებს მასთან ბრძოლას.


ორივე მათგანი აღრეული ასაკის ფუმფლის დაავადებაა და საკმაოდ ხშირად (გაჩნია ფუმფლის დაინფიცირების ხარისხს) ფუმფლი აღწევს გადაბეჭდვის სტადიამდე და მაშინ ის ემსგავსება ამერიკულ სიდამპლეს. თუნდაც მკვდარი ბარტყის წელვადობით, უჯრის სახურავის ჩახვერეთითა და დამახასიათებელი სუნით.

თუმცა ამერიკულ სიდამპლეს აქვს თავისი დამახასიათებელი გამოხატული ნიშანი ე.წ. "ნისკარტი"

ფოტოზე კარგად ჩანს მხოლოდ და მხოლოდ ამერიკული სიდამპლისთვის დამახასიათებელი ე.წ. „ნისკარტი“

დამახასიათებელი ნიშნები:

- არ ახასიათებს სეზონურობა;
- დაავადების გადამტანები არიან ძიძები, რომლებიც ფუმფლს კვებავენ;
- ავადდება ძირითადად ფუმფლი რომელიც იკვებება რძით; (ფუმფლი 36 სთ-მდე უფრო მგრძნობიარეა დაავადების მიმართ)
- ძირითადად ფუმფლი ილუპება გადაბეჭდვამდე, მაგრამ თუ დაავადებული ფუმფლი გადაიბეჭდა, ილუპება ჭუპრობის სტადიამდე მიულწველად;
- დაავადებული ფუმფლი მოყვითალო/ყავისფერი შეფერილობისაა და კარგად ემჩნევა ტრაქეები (ფოტო 5,6);
- ვრცელდება ბაქტერიებით;



ევროპული სიდამპლით ფსკერზე გართხმულ მოყვითალო-მორუხო ფერის ფუმფლი


ცენტრში დააკვირდით მოყვითალო ფერის ფუმფლს

ზემოთ თეთრ ფერში ჯანმრთელი ფუმფლი




მკვდარი ფუმფლი იწებება (1,5 სმ) მაგრამ არ ახასიათებს სეგმენტაცია ანუ ჩხირს გაწვლისას შეიძლება მთელი მასა ამოყვეს


შეიძლება ჰქონდეს დამახასიათებელი მჟავე სუნი




ევროპული სიდამპლისას კარგად ჩანს სასუნთქი ტრაქეები, ეს სიმპტომი მხოლოდ ევროპული სიდამპლისათვისაა დამახასიათებელი



ამ ფოტოზეც კარგად ჩანს სასუნთქი ტრაქეები



„ჭრელი ბარტყის“ სურათი



- a - დაგრეხილი ფუმფლი
- b - ფერშეცვლილი ფუმფლი
- c - ფერშეცვლილი ფუმფლი, ჩანს ტრაქეები

Photo: Emily Noordyke



- a - დაგრეხილი ფუმფლი
- b - დაგრეხილი ფუმფლი, რომელიც იმყოფება გამომშრობის ფაზაში, კარგად ჩანს სასუნთქი ტრაქეები
- c - უფორმო დაგრეხილი ფუმფლი

Photo : Andony Melathopoulos



არაბუნებრივად დაგრეხილი ბარტყი

Photo: Andony Melathopoulos

სიმპტომები:

- წრელი ბარტყი;
- მკვდარი და მომაკვდავი ფუმფული;
- დაავადებული ფუმფული იწყებს ფერის ცვლილებას ქათქათა თეთრიდან მოყვითალომდე, შემდეგ მორუხო ფერის და საბოლოოდ კი მუქი ყავისფერი ხდება.
- სეგმენტაცია არ შეინიშნება;
- ინფიცირებული ფუმფული ლებულობს დაგრებილ არაბუნებრივ ფორმას, ნორმალურ C-ს მსგავსი ფორმიდან თუ დაავადებული უჭრა გადაბეჭდილია, უჭრის სახურავი ჩანეული იქნება ან სულაც ჩაჩვრეტილი როგორც ამერიკული სიდამპლის შემთხვევაში, თუმცა მკვდარი ფუმფულის ნელვადობა არ აღემატება 1,5სმ-ს;
- ევროპული სიდამპლის დროს მკვდარი გამომშრალი ფუმფული ადვილად ცილდება უჭრის კედელს, რაც შეუძლებელია ამერიკული სიდამპლის შემთხვევაში

შენიშვნა: დაავადების შემჩნევა და სიმპტომების გამოვლენა დამოკიდებულია დაავადების განვითარების სტადიებზე და ინფიცირების ხარისხზე, ასევე მეორეული ბაქტერიების გავრცელებაზე; ევროპული სიდამპლე საკმაოდ რთული დაავადებაა და ხშირად ერევათ პარკუჭა ბარტყის (**Sacbrood**) ვირუსულ დაავადებასთან, პარაზიტი ტკიპის სინდრომთან (**Parasitic Mite Syndrome**). ევროპული სიდამპლის ბაქტერია შეიძლება ყოველთვის იყოს ფუტკრის ოჯახში რომელიც არ ავლენს დაავადების ნიშნებს, რადგან სანიტარი ფუტკრები დაავადებულ ფუმფულს დროულად ავლენენ და შესაბამისად დაავადების გავრცელება არც ხდება.

პროფილაქტიკური ღონისძიებები:

- კარგი პრაქტიკის დანერგვა;
- გენეტიკურად ჰიგიენური ფუტკრის ოჯახების შერჩევა სელექციისათვის;
- ცილოვანი საკვების (ყვავილის მტვერის) აუცილებლობა, თუ უამინდობაა დამატებითი ცილოვანი საკვების მიწოდება ოჯახებზე;
- საკვების მარაგებზე ყურადღების მიქცევა, ნუ აშიმშილებთ ოჯახებს და ნუ წაართმევთ ჭეოიან/თაფლიან ფიჭებს; თაფლს ვერანაირი საკვებდანამატები ვერ ჩაანაცვლებს;
- ფიჭების განახლება ყოველ მეორე წელს; შავი ფიჭების გადაღნობა ცვილად;
- ჩარჩოების მინიმალური გადანაცვლება ოჯახებს შორის;
- შეეცადეთ დროულად აღკვეთოთ ქურდობა;
- დაავადებული ოჯახების საფუტკრედან გადაყვანა საკარანტინო ზონაში, ჩარჩოების დროული მოცილება და დაწვა, სკების სტერილიზაცია და ცვილში გადახარშვა;
- სანამ დააბრუნებთ ოჯახს ძირითად საფუტკრეში დარწმუნდით რომ საბოლოოდ გამოჯანმრთელებულია და დაავადების არანაირი ნიშნები არ შეიმჩნევა;
- დაავადების ნიშნების შემჩნევისას გამოიძახეთ შესაბამისი ვეტერინარული სამსახური;

დაავადების დროულად აღმოჩენისას ფუტკრის ოჯახი განკურნებას ექვემდებარება.

თქმითი შედეგებილია ავსახეთი პაპავას მიერ

საქართველოს მეფუტკრეთა გაერთიანება.

+995 599 99 87 98 / geobeekeepers@gmail.com

WWW.GEOBEEKEEPERS.GE